

პოროშენკო და ზედენსკი დებატებს სტადიონზე გამართავენ



უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო თავისი მეტოქის ვლადიმერ ზედენსკის შეთავაზებას დასთანხმდა.

გუშინ ზედენსკიმ პოროშენკო კიევის ოღიმპიურ სტადიონზე საჯარო დებატებში მიიწვია.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიდეომიმართვა [Facebook-ის გვერდზე](#) გაავრცელა.

„დებატების წესები განწერილია არჩევნების შესახებ კანონში. დებატები უნდა გაიმართოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ბაზაზე და მისი ტრანსლაცია სხვა ტელეკომპანიებს შეუძლიათ, მაგრამ თუ სტადიონი გასურთ, იყოს სტადიონი. გველოდებით ვლადიმერ ადელქსანდროვიჩი,“ - ამბობს პოროშენკო ვიდეომიმართვაში.

შეგახსენებთ, ხმების 100%-ის დათვრის შემდეგ, მეორე ტურში გადავიდა შოუმენი ვლადიმერ ზედენსკი (30,24%) და მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო (15,95%). მესამეზე იურია ტიმოშენკო გავიდა ხმების 13,4%-ით. ტიმოშენკო არჩევნების მეორე ტურში მხარს არც ერთ კანდიდატს დაუჭერს.

მეორე ტური 21 აპრილს გაიმართება.